დანართი N1

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე

მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიში

საქართველოს პრეზიდენტს/საქართველოს პარლამენტს

საჯარო დაწესებულება: *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი*

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 52 წერილი, რომლებზედაც დეპარტამენტის მიერ გაცემულ იქნა პასუხები და წარდგენილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციები. მათგან დაკმაყოფილდა 49 მოთხოვნა, არ დაკმაყოფილდა 3, რადგან წერილში დასმული საკითხები შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს (უარის თქმის საფუძველი: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^1 მუხლის მე–2 პუნქტისა და 44–ე მუხლის პირველი პუნქტი (პერსონალური მონაცემების დაცვა)).

საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით არც ერთი განცხადება არ არის შემოსული.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით დეპარტამენტში საჩივრები არ შემოსულა, შესაბამისად კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა არ გამართულა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ–ის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხსიმგებელ პირებზე დისციპლინური დარღვევის სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო მონაცემთა ბაზა დამუშავების პროცესშია.